

**9 აპრილის (09.04.1989) მოვლენა
თანამედროვე კონტექსტში
APRIL 9 (09.04.1989) PHENOMENON
IN CONTEMPORARY CONTEXT**

თამარ ბელქანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Tamar Belkania

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

One of the directions of information warfare is the falsification of the essence of historical events for political purposes. Despite wide exposure of the modern world wide web, extensive pressure exerted on information may be used to manipulate even the latest historical facts. The proposed article discusses the attempt of fabricating the very essence of April 9, 1989 phenomenon on the part of pro-Russian forces.

For every right-minded Georgian, April 9, 1989 represents a symbol of confronting the Russian empire, after April 9, 1989 when the Soviet troops implemented special operation against peaceful protesters demanding the reestablishment of Georgia's independence outside Parliament, on the central square of the country. It was the circumstances of April 9 that provided the psychological basis for the victory of the national liberation movement and for the successful referendum of March 31, 1991 in Georgia the results of which led to the reestablishment of state independence of Georgia on April 9, 1991. Thus, April 9 represents Georgia's striving for independence and the subsequent victory.

Thirty years passed after April 9, though the very phenomenon has been evaluated as a tragedy by the Government of Georgia, political circles and the majority of historians. The similarly indistinct qualification is widely spread on the web. Such interpretation of an important historical event was only beneficial to Russian Empire to disguise the aggressive behavior against Georgia and, generally, Caucasus.

Thousands witnessed the events of April 9, 1989. Three cameras (operated by G. Khaindrava, Y. Rost, and KGB employee) were recording the night of April 9; lots of other documentary materials are also available. Therefore, the decisive assessment of the event was possible. Despite this fact, the 2019 survey amply reveals that the essence of April 9 is mostly obscure not only for the Wikipedia authors but also for the Georgian youth today, cf. Imedi TV survey entitled "What happened on April 9, 1989?"

The reason for such misunderstanding is simple: the Georgian government, specifically, the representatives of historiography or educational system are disinterested in manifesting the real essence of April 9. Moreover, it is logical to assume that certain political forces in Georgia are interested in internationally suppressing the aggression on the part of the Russian Empire from April 9, 1989 up to the present day.

I believe, the inadequate evaluation of the above phenomenon thus far is an apparent example of operation of the Russian soft power.

საკვანძო სიტყვები: 1989 წლის 9 აპრილი, საქართველოს უახლესი ისტორია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რუსეთის პოლიტიკა.

Keywords: April 9, 1989; Recent History of Georgia; Russian-Georgian Relations; Russian Politics.

საინფორმაციო ომის ერთ-ერთი მიმართულებაა პოლიტიკური მიზნით ისტორიული მოვლენების არსის გაყალბება. თანამედროვე გლობალური ქსელის ღიაობის მიუხედავად, დიდი საინფორმაციო ზეწოლით შესაძლებელია უახლესი ისტორიის ფაქტების დამახინჯებაც კი. წარმოდგენილ სტატიამი განვიხილავთ პრორუსული ძალების მიერ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენის არსის დამახინჯების მცდელობას; კერძოდ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ინტერნეტქსელში დღესაც აქტუალურია კითხვა:

1989 წლის 9 აპრილს იყო მომთინვეთა მიერ „ურთიერთწყვეტა“ თუ ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის?

1989 წლის 9 აპრილი ქართველთათვის უახლესი ისტორიული მესიერების ყველაზე მძაფრ შეგრძნებებს უკავშირდება; ყველა ადევკვატური ქართველისათვის, ზოგადად, ადამიანისათვის, 9 აპრილის მოვლენა რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის სიმბოლოა, რამდენადაც 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარმა საქართველოს ცენტრალურ მოედანზე პარლამენტის შენობის წინ ჩაატარა სპეცოპერაცია მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებიც ითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. საბჭოთა ჯარის აგრესიას შეეწინააღმდეგებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლი მშვიდობიანი მოქალაქეები (დალუპულია 21 ადამიანი, მათ შორის 17 ქალი). სწორედ 9 აპრილის მოვლენამ მოამზადა ფსიქოლოგიური საფუძველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებისა და საქართველოს მთელს ტერიტორიაზე 1991 წლის 31 მარტის წარმატებული რეფერენდუმისათვის, რომლის შედეგების შესაბამისად აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს; შესაბამისად, 9 აპრილი არის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე (კვალიფიკაციისათვის იხ.: ფუტკარაძე 2019: 146-150).

9 აპრილის შემდეგ 30 წელი გავიდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების, პოლიტიკური სპექტრისა თუ ისტორიკოსთა დიდი

ნაწილის მიერ ეს მოვლენა შეფასებულია „ტრაგედიად“. ასეთი ბუნდოვანი კვალიფიკაცია ფართოდაა გავრცელებული ინტერნეტქსელშიც. დიდი ისტორიული მოვლენის არსის ამგვარი გაგება მხოლოდ რუსეთის იმპერიას აძლევს ხელს, რომ შენიღბოს თავისი აგრესია საქართველოში, ზოგადად, კავკასიაში. აქვე აღვნიშნავ, რომ საბჭოთა იმპერიის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ელიტა დღემდე ვერ ეგუება საქართველოს დამოუკიდებლობას და საინფორმაციო ზენოლით (პროპაგანდით) ცდილობს სხვა ფაქტების სათავესოდ დამახინჯებასაც. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ 9 აპრილის შესახებ ინფორმაციებს, რომელიც მრავალ ენაზე დევს „ვიკიპედიაში“:

ინგლისური ვერსია: April 9 tragedy: „The April 9 tragedy (also known as Tbilisi massacre or Tbilisi tragedy) refers to the events in Tbilisi, Georgian Soviet Socialist Republic, on April 9, 1989, when an anti-Soviet (but pro-Stalin) demonstration was dispersed by the Soviet Army, resulting in 21 deaths and hundreds of injuries”¹.

შდრ. მცირედით განსხვავებული ინფორმაციაა ქართულ ვიკიპედიაში²:

„9 აპრილის ტრაგედია – 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატა საბჭოთა არმიის მიერ ანტი-საბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მონყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაში, რის შედეგადაც დაიღუპა 21 ადამიანი, ასობით კი დაიჭრა“.

შდრ. „ვიკიპედიის“ რუსულენოვანი ინფორმაცია: „Тбилисские события (1989)“:

«Тбилисские события» или «Трагедия 9 апреля» (груз. 9 აპრილის ტრაგედია) – специальная операция по разгону оппозиционного митинга у Дома правительства Грузинской ССР в Тбилиси, осуществлённая в ночь на 9 апреля 1989 года силами внутренних войск МВД СССР и Советской армии. Действия протестующих и саботаж операции со стороны тбилисского МВД привели к гибели 21 человека[2] и травмам 290 человек.³

ქართულვიკიპედიაში მინცუნდაიყოს 9 აპრილი კვალიფიციერებული, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დღე და არა – როგორც „ტრაგედია“. ფაქტია, რომ „ვიკიპედიის“ ქართულენოვანი ინფორმაცია რუსული დემინფორმაციის კონტექსტშიც ჯდება. ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ ქართული მხარე „საკუთარ მოედანზეც“ კი ვერ უწევს წინააღმდეგობას რუსულ საინფორმაციო იერიშებს. საქართველოში რუსეთი მუდამ პოულობს პარტნიორებს, რომელსაც წარმატებით

¹ https://en.wikipedia.org/wiki/April_9_tragedy (დამონშება: 17.10.2019).

² 9 აპრილის ტრაგედია (დამონშება: 17.10.2019): https://ka.wikipedia.org/wiki/9_%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90

³ Тбилисские события /1989/ (დამონშება: 17.10.2019): [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A2%D0%B1%D0%B8%D0%BB%D0%B8%D1%81%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5_%D1%81%D0%BE%D0%B1%D1%8B%D1%82%D0%B8%D1%8F_\(1989\)](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A2%D0%B1%D0%B8%D0%BB%D0%B8%D1%81%D1%81%D0%BA%D0%B8%D0%B5_%D1%81%D0%BE%D0%B1%D1%8B%D1%82%D0%B8%D1%8F_(1989))

იყენებს დეზინფორმაციებისათვის. რუსული დეზინფორმაციის მექანიზმი გრძელვადიან დროშია განხრილი და გეგმაზომიერად ხორციელდება მოცემულ ანმყოშიც (წარსულში მომხდარი ფაქტის რეინტერპრეტაცია ხდება ანმყოშიც); წარმატების საფუძველია რუსული სპეცსამსახურების შემდეგი სტრატეგია:

პირველ ეტაპზე იგეგმება პერსონის წარმოჩინება, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობადი სახე უნდა იყოს. შემდეგ ეტაპზე მან ზემოთ ხსენებულ ფაქტთან მიმართებით მიღებული ვერსიის საწინააღმდეგო განცხადება უნდა გააკეთოს. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი დეტალი, რომ ეს ადამიანი უნდა იყოს იმ მოვლენების არა მხოლოდ მაყურებელი, არამედ უშუალო მონაწილე. სამაგალითოდ მოვიყვანთ 9 აპრილის არსის გაყალბებაში ი.მეჩიტოვის როლს 2017 (!) წელს:

2017 წელს საქართველოს მოქალაქემ, ეთნიკურად სომეხმა, ფოტოგრაფმა იური მეჩიტოვმა, რომელიც თავად იყო 9 აპრილის ცნობილი მონაწილე (ფოტორეპორტაჟების ავტორი!), განაცხადა:

„9 აპრილის“ აქციის მონაწილეები 13-დან 25 წლამდე იყვნენ ძირითადად. მხოლოდ ახალგაზრდები. მონაწილეების 90% შეიკრიბა იმიტომ, რომ 9 აპრილი შოუ იყო და ისინი შოუს მონაწილეები იყვნენ. ეს იყო კრიმინალური აქტი, აქციის ორგანიზატორების მხრიდან, რათა მიეღოთ ასეთი შედეგი. ეს იყო გეგმა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. არავის სურდა ვინმეს მოკვლა. ისინი ყველა ჭყლეტაში დაიღუპნენ. 20 ქალი ასფიქსიით გარდაიცვალა. ჭრილობები ჰქონდათ, მაგრამ ისინი განზრახ არავის მოუკლავს. რა გაქვთ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო, არ ვიცი. ხალხი ისეთი ბედნიერი იყო. საკუთარი თვალის მარჯვნივ ნანახი. რა გაქვთ რუსეთის საწინააღმდეგო? 200 წელი ვიყავით რუსეთის ქვეშ და ვიყავით აყვავებულები“⁴.

რეალურად მეჩიტოვი ამ მოკლე ინტერვიუში ამბობს:

- ქაოსურ აქციაში „თინეიჯერები“ და ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.
- ეს იყო უბრალოდ შოუ და კრიმინალური აქტი ხელისუფლების ხელში ჩასაღდებად.
- საბჭოთა პერიოდში ხალხი ბედნიერად ცხოვრობდა.
- რუსეთის საწინააღმდეგო რა შეიძლება ადამიანს ჰქონდეს, რადგან თავად არის „მონმე“, რომ „ხალხი ბედნიერი იყო“.
- იყო მრავალრიცხოვანი მიტინგი, სადაც მიტინგის დაშლის დროს დაშავდნენ ადამიანები – ეს იყო „ჭყლეტა“ და დაუგეგმავი პროცესი.
- მომიტინგეების მოკვლა არ იყო წინასწარ განზრახული...

პარალელურად, დამკვეთების მიერ მეჩიტოვის ამგვარი განცხადებით მოხდა საზოგადოებრივი აზრის შემოწმება, თუ როგორ მიიღებდა საზოგადოება მოვლენის ამგვარ შეფასებას.

შემთხვევითი არ არის, რომ სხვაგან ი. მეჩიტოვი აქებს საბჭოთა

⁴ „იური მეჩიტოვი Al Jazeera-ზე: 9 აპრილს არავის მოკვლა არ უნდოდათ, 20 ქალი ასფიქსიით გარდაიცვალა“ http://www.tabula.ge/ge/story/139538-iuri-mechitovi-al-jazeera-ze-9-aprils-aravis-mokvla-ar-undodat-20-qali-asfiqsiiit?fbclid=IwAR3xFRd56Nnys_eFx-RIfXVLgYhDojroAbnycmkY8x3rju486v9ZEvxzfRw (დამონება: 13.10.2019).

რუსეთის იმპერიას; კერძოდ, ის ამბობს: „...საქართველო, როგორც ქვეყანა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით არსებობდა და სწორედ იმ ეპოქამ მოიტანა 5-მილიონნახევრიანი მოსახლეობა. უამრავი სამეცნიერო სკოლა და გენიალური ფილმები. თუ ეს ყველაფერი მონობაში გაკეთდა, მაშინ გაუმარჯოს ასეთ „მონობას“⁵...

ფაქტია, რომ მეჩითოვის რიტორიკა და 9 აპრილის ეროვნული სულსკვეთება ერთმანეთის რადიკალურად განსხვავებულია. ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ იმ პერიოდში, როდესაც მეჩითოვმა ეს განაცხადა, ის საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, ფაქტობრივად ახმოვანებდა გარკვეულ პოლიტიკურ ძალას.

ი. მეჩითოვის ტექსტები დიდი საინფორმაციო ომის ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი სეგმენტია.

გასათვალისწინებელია, რომ საინფორმაციო ომი სამ ინფორმაციულ სივრცეში იგეგმება; იქ, სადაც შეტევა ხდება, ამ შემთხვევაში საქართველო, საიდანაც მიმდინარეობს ინტერვენცია, ანუ, რუსეთი და, ბუნებრივია, საერთაშორისო საზოგადოება, რომლის მიერ აღქმული უნდა ემთხვეოდეს რუსეთის გეგმაში განწერილ რეაქციებს. რუსული საინფორმაციო ომის მიზანი კი რუსეთისათვის სასურველი ინფორმაციის გავრცელება-დამკვიდრება და საზოგადოებრივი აზრის სასურველ ტალღაზე მომართვა-ფორმირებაა. შემდგომ კი საჭიროა ამ წინასწარ მომზადებული გეგმის მედია პროდუქტის შექმნა და სასურველ დროს მისი ამუშავება. დანარჩენი კი უკვე მედია ტექნოლოგიების ამბავია: ერთ დღესაც იურა მეჩითოვი ამბობს, რომ „9 აპრილი შოუ იყო და ძალაუფლების ხელში ჩაგდება სურვილი. რასაც მოჰყვა წესრიგის აღდგენისას ხალხის ჭყლეტა“, – ესაა მოკლე გზავნილი. შესაძლოა, ტელეკომპანია „ალ ჯაზირასათვის“ მიცემული ეს ინტერვიუ არც არავის ენახა. პირველი ეტაპისათვის სავარაუდოდ ასეც იყო გათვლილი, რომ ქართულ საზოგადოებას ეს იმთავითვე არც უნდა სცოდნოდა, რომ პასუხი არ ყოფილიყო მყისიერი და არ გაენეიტრალებინა „შხამის ეფექტი“; შესაბამისად, ის პირველად გაჟღერდა სწორედ უცხოურ და ისიც „ალ ჯაზირას“ ეთერში. რომელიც გაჟღერებისთანავე გაიყოფა რამდენიმე მედია ნატეხად, ერთი ვიდრე ფორმატით, მეორე მოკლე გამონათქვამი სააგენტოებისათვის და მესამე მისი ბეჭდური ინტერვიუ ფოტოგრაფის ფოტოთი. მოვლენებიც გეგმის მიხედვით განვითარდა: რალაც დროის შემდეგ ეს ინტერვიუ ფრანგულ მედიაში⁶ ხვდება, საიდანაც უკვე ვრცელდება სოციალური ქსელებით საქართველოში. ბუნებრივია, რომ ის იწვევდა საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთებას, რადგან სწორედ 9 აპრილისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ერთიანია, რომ ეს იყო რუსეთის მხრიდან სადამსჯელო სპეცოპერაცია.

⁵ ი. მეჩითოვი, „გაუმარჯოს ასეთ მონობას“; გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 14-20 მაისი, 2017 წ. <https://www.mythdetector.ge/ka/myth/sabchota-monobashi-akrdzaluli-literatura-da-pilme-bi> (დამონტაჟი: 18.11.2019).

⁶ „იური მეჩითოვი ბოდიშს იხდის“ https://www.youtube.com/watch?v=tvLYaEF4_K0 (დამონტაჟი: 10.11.2019).

საზოგადოების დამოკიდებულება იმდენად ნეგატიური იყო, რომ მოგვიანებით მეჩითოვს ბოდიშის მოხდა მოუწია. თუმცა ეს აქტივ ზუსტად რომ საინფორმაციო ომის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. კერძოდ, მეჩითოვის სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეო⁷ მიმართავა გულისხმობდა ბოდიშს იმ ხალხის ახლობლებისადმი, რომლებიც 9 აპრილს დაიღუპა „ჭყლეტაში“. ამით მეჩითოვმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ის კვლავინდებურად ისე ფიქრობს, როგორც „ალ ჯაზირასადმი“ მიცემულ ინტერვიუში, უბრალოდ ბოდიშს გარდაცვლილებს უხდის, იმიტომ რომ ისინი გარდაიცვალნენ და აღარ არიან, თუმცა პასუხისმგებლობას კვლავ აკისრებს არა რუსის ჯარს, არამედ მათ, ვინც იყვნენ აქციის ორგანიზატორები, იგულისხმება ეროვნული მოძრაობის ლიდერები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა... რადგან, მეჩითოვის აზრით, ეს იყო კრიმინალური ამბოხი „ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად“...

თავად ეს „ბოდიშის ვიდეომიმართავა“ საინტერესოა როგორც ფორმით, ასევე შინაარსით⁸. იგი 3 წუთისგან შედგება და ანთვასში მჭდარი ფოტოგრაფი „რბილი“ განათებების ფონზე ზის, შავ-თეთრ ვიდეოში მხოლოდ მისი სახეა „ამონათებული“, აქცენტირებული, კადრი 1:40 წამზე იცვლება და მთელ ეკრანზე მხოლოდ მეჩითოვის სახე ჩანს, რაც განცხადების სერიოზულობას წარმოაჩენს.

ვიდეო იწყება: „ჩემო საყვარელო ხალხო, მინდა მოგმართოთ და განვახადო: მე საშინელი გული მტკივა, ამდენი ტკივილი მივაყენე ჩემს თანამემამულეებს ჩემი ასეთი განცხადებით, რომელსაც არ ჰქონდა მიზეზი ასეთი ტკივილი მიეყენებინა, მაგრამ ასე მოხდა...“ რეალობა ისაა, რომ არსებობს ვიდეო ბოდიშის მოხდით, თუმცა ეს არ არის გააზრებული ბოდიში, რადგან ზემოთ ხსენებულ არც ერთ განცხადებას, სადაც საუბარია, რომ ხალხი ჭყლეტას შეეწირა, მეჩითოვი არ უარყოფს, ანუ, ეს ბოდიში მიზანს ისახავს საზოგადოებრივი რისხვის ჩახშობას და არა „ბოდიშს“, ასეთი შეურაცხყოფა რომ მიაყენა ხალხს, რომელმაც თავი შესწირა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას გააზრებულად.

ასე დაიმკვიდრა ადგილი ინფორმაციულ ნაკადში „ალ ჯაზირასადმი“ მიცემულმა ინტერვიუმ, რომელსაც „სქოლიოთი“ არ აქვს მიბმული თუნდაც ის ბოდიში, რასაც ინტერვიუერი უკვე სამშობლოში აკეთებს, ანუ, ერთი ნაბიჯით წინ წავიდა ამ თემის ირგვლივ რუსული საინფორმაციო პროპაგანდა, რომ 1989 წლის 9 აპრილის შეფასებას ამგვარად აკეთებს საქართველოს მოქალაქე, ცნობილი ფოტოგრაფი, 9 აპრილის დროს გადაღებული ცნობილი ფოტოს ავტორი, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, რომ ეს იყო არა ბრძოლა ქართველების ტერიტორიული მთლიანობისადმი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, არამედ შოუ და ბრძოლა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, სადაც ხელისუფლების (და არაა დაკონკრეტებული, რომ

⁷ „იური მეჩითოვი ბოდიშს იხდის“ <https://imedineews.ge/ge/saqartvelo/85599/iuri-mechitovi-bodishs-ikhdis> (დამონწმება: 10.11.2019).

⁸ „იური მეჩითოვის ბოდიში“ <https://www.youtube.com/watch?v=BISiI9FksFs> (დამონწმება: 10.11.2019).

ეს იყო საბჭოთა საქართველო) მხრიდან წესრიგის აღდგენისას მოხდა უბრალოდ „ჭყლეტა“ და ხალხი გარდაიცვალა „ასფიქსიით“. ყოველივე ამის პარალელურად კი საზოგადოებრივი აზრის შესწავლაც მოხდა, თუ როგორია დღეს საზოგადოების დამოკიდებულება 9 აპრილისადმი და ამ ისტორიული მოვლენის ამგვარი ინტერპრეტაციისადმი.

ეს წერილი არ მოიცავს მხოლოდ ანალიზს, თუ როგორ იბრძვის რუსეთის საინფორმაციო პროპაგანდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ისტორიის გაყალბებით; ჩვენი მიზანია, ასევე, 9 აპრილის შესახებ სრული სურათის შესაქმნელად სამეცნიერო საზოგადოებას მივანოდოთ ოთხი რუსულენოვანი დოკუმენტი, რომელიც საბჭოთა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯუმბერ პატიაშვილმა მოსკოვში, კრემლში გააგზავნა 1989 წლის 7, 8, 9, 10 აპრილს (იხ. დანართში).

საინტერესოა ამ დოკუმენტების ბედიც:

წესით, საქართველოდან გაგზავნილი დოკუმენტების ასლები დასული უნდა ყოფილიყო საბჭოთა საქართველოს უშიშროების არქივში. 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების დროს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას დაუპირისპირდა რუსეთიდან დაფინანსებული ოპოზიცია და მოხდა სამხედრო გადატრიალება, არქივის დიდი ნაწილი ხანძრის დროს დაინვა, დოკუმენტების ნაწილი კი ქ. სმოლენსკში იქნა გატანილი. მცირე ნაწილი დღევანდელ შსს არქივშია დასული. ნიშანდობლივია, რომ მათ შორის არ იქნებნება ზემოთ ხსენებული დოკუმენტები. რუსეთის ხელისუფლებაში ბორის ელცინის მოსვლის შემდეგ რუსეთის შინაგან საქმეთა არქივი მცირე დროით გახდა საჯარო, მაგრამ სამ თვეში, ელცინის ხელისუფლებიდან წასვლისთანავე, არქივი დაიხურა. ამ მოკლე დროში საარქივო დოკუმენტების დიდი ნაწილის გადანერა ამერიკის ფედერალურმა არქივმა (ბელქანია 2016). 2009 წელს ამერიკულმა მხარემ ამ დოკუმენტების ნაწილი საჩუქრად გადასცა საქართველოს შსს არქივს. სწორედ ამ ნაწილში აღმოჩნდა ჯ. პატიაშვილის მიერ კრემლში გაგზავნილი დეკუმენტი თუ წერილები⁹.

მოკლედ დოკუმენტების შესახებ: 7 აპრილის დოკუმენტიდან ვიგებთ, თუ რა ხდებოდა 7 აპრილს; 8 აპრილის დოკუმენტი ასახავს 8 აპრილის ვითარებას; 9 აპრილის დოკუმენტი აღწერს საბჭოთა ჯარის ვანდალიზმს; 10 აპრილის შიფრტელეგრაფმა კი აფასებს მომხდარს; კერძოდ, **7 პრილის დოკუმენტში ვკითხულობთ (იხ. დოკ. №1):**

„რესპუბლიკაში, ბოლო დროს ვითარება ძალიან დაიძაბა და პრაქტიკულად არ ექვემდებარება კონტროლს. ამის მიზეზი გახდა 18 მარტის შეხვედრა სოფელ ლიხნში (აფხაზეთი), სადაც განიხილებოდა საქართველოს რესპუბლიკიდან გამოყოფა და ავტონომიურ

⁹ ეს დოკუმენტი დაბეჭდილია ერთხელ საქართველოს შსს არქივის უწყებრივ ჟურნალში „საარქივო მოამბე“, N10. კომენტარის გარეშე. თუმცა გამომდინარე, რომ ჟურნალი უწყებრივია და არ იყიდება, მისი ტირაჟი მწირია, მას სამეცნიერო საზოგადოება ნაკლებად იცნობს თვით საქართველოშიც კი.

რესპუბლიკად ჩამოყალიბება, თუმცა მოვლენები გაცდა ჩარჩოს.

ექსტრემისტები ძაბავენ ნაციონალურ განწყობას, მოუწოდებენ ხალხს აჯანყებისაკენ, დაუმორჩილებლობისაკენ, ორგანიზებას უწევენ არეულობას. პარტიულ და საბჭოთა ინსტიტუტებს კი დისკრედიტირებენ. აღნიშნულის გამო მისაღებია მკაცრი ზომები.

ვთვლი აუცილებლად:

1. დაუყონებლივ დავაკავოთ და მოვთხოვოთ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ყველა ექსტრემისტს, რომელიც ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური და ანტიპარტიული ლოზუნგებითა თუ მოწოდებებით გამოდიან (ამისათვის კანონიერი მიზეზები არსებობს).

2. თბილისში დანესდეს კომენდანტის საათი შესაბამისი ძალების (მ.ვ.დ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი) გამოყენებით.

3. პარტიული, საბჭოური და ეკონომიკური ძალების გამოყენებით მიიღეთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ზომები არსებული ვითარების სტაბილიზაციისთვის.

4. არ მისცეთ საბჭოურ და რესპუბლიკურ მასმედიას ვითარების დამძაბველი ინფორმაციის გავრცელების საშუალება“.

საბუთს ხელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

8 აპრილის დოკუმენტი (იხ. დოკ. №2):

„გაცნობებთ, რომ ვითარება თბილისში კვლავ დაძაბულია. მთავრობის სახლთან ტარდება რამდენიმე ათასიანი მიტინგი, ლოზუნგი კი კვლავ იგივეა: „საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა, დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბება“, „ავტონომიის ლიკვიდაცია“ და ა.შ.“ შემდგომ პატიაშვილი დეტალურად აღწერს, წინააღმდეგობების რა ბარიკადებს ქმნიან არა მხოლოდ დედაქალაქში, „...აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში 3,5 ათასმა ქართველმა ჩაატარა მიტინგი აფხაზეთის საქართველოს საბჭოთა სოც. რესპუბლიკიდან გამოსვლის წინააღმდეგ“. რესპუბლიკის პირველი პირი სერიოზულ საკითხად განიხილავს მედიის საკითხსაც, კერძოდ, „...გადაწყდა, რომ ბიუროსა და კომპარტიის წევრებმა რესპუბლიკის ყველა რეგიონში თავი უნდა მოუყარონ აქტივისტებს, გარდა ამისა, უნდა შეიკრიბონ პარტიის წევრები და არსებული მოვლენების გამო გაეცნონ გეგმას, რომელიც ეხება ტელევიზიას, რადიოსა და პრესას.“

9 აპრილის დოკუმენტის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ (იხ. დოკ. №3,4,5):

„...ჯყლეტის შედეგად გარდაიცვალა 16 ადამიანი (13 ახალგაზრდა ქალი და 3 მამაკაცი. ასზე მეტმა ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სირთულის ჭრილობა, მათ შორის ოცდაათხმა სამხედრო პირმა (13 მათგანი გადაყვანილია ჰოსპიტალში)“, „...ვიღებთ შესაბამის ზომებს იმისათვის, რომ დავაკავოთ არეულობის მოთავე ხალხი. არ დავუშვებთ მორიგი მიტინგისა თუ მსვლელობის დაგეგმვას.“, „...მასობრივი არეულობის თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ მოგვცეთ ნებართვა, რომ შემოვიტანოთ კომენდანტის საათი ქალაქ თბილისში“...

ფაქტია, რომ 2017 წელს ი. მეჩითოვი სწორედ ამ საბჭოურ ვერსიას იმეორებს - იყენებს ტერმინს „ჭყლეტა“.

10 აპრილის დოკუმენტი:

„საჭიროა უფრო დაუინებით სრულყოფილ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ხალხის მასებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. საჭიროა ფაქტიზად იმოქმედოთ ხალხის განწყობაზე, ოპერატიული რეაგირება მოახდინოთ ხალხის საჭიროებაზე და ხელფასზე, ამოძრავოთ ბიუროკრატიზმი და განუკითხაობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული სტუდენტებსა და კომკავშირულ აქტივებში აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაზე. ამ მიზნის მისაღწევად მობილიზებულ იქნას ყველა საბჭოთა, კომუნისტური და კომკავშირული აქტივი. უნდა გაძლიერდეს მოთხოვნა ხელმძღვანელი კადრებისადმი კოლექტივებში არსებული ვითარების გამო, მათი პირადი მონაწილეობა აღმზრდელობით მუშაობაში, პასუხისმგებლობა მშრომელებისა და ახალგაზრდობის წინაშე გამოსვლებისას.“, და ამის შემდგომ ვკითხულობთ: „...საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ როლს და პასუხისმგებლობას ანიჭებს მასობრივ საინფორმაციო წყაროებში მიმდინარე პროცესების ობიექტურად გაშუქებას, საზოგადოებრივი აზრის სწორად ფორმირებას.“, მედიის როლის განსაკუთრებულობას ხაზი შემდგომ აბზაცშიც ესმევა, როდესაც პატიაშვილი წერს: „...ამასთან დაკავშირებით, პარტიულმა ორგანოებმა, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებმა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი არსენალის გამოყენებით, უზრუნველყონ სსრკ კომპარტიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მითითებების სიღრმისეული შესწავლა, რომელიც მიმართულია საბჭოთა კონსტიტუციური წყობის, ეროვნული თანასწორობის სამართლებრივი დაცვისაკენ და საშუალებას აძლევს მათ ბევრად უფრო ეფექტურად აწარმოონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტული ელემენტების მიმართ.“

იმავე დროს, პარალელურად, რუსულ სოციალურ მედიაში ვრცელდება 9 აპრილის უშუალო მონაწილეთა ინტერვიუები, საიდანაც შესაძლებელია დეტალების შევსება; იხ., მაგ., გენერალ ლეხედის ინტერვიუ სათაურით: „ТБИЛИССКАЯ СМУТА“¹⁰; სადაც გენერალი ლეხედი აღნიშნავს:

„8 апреля, вверенная мне дивизия была поднята по тревоге, совершила марш к аэродрому, армада самолетов поднялась в воздух и перенесла три полка в солнечный Тбилиси. Я приземлился в одном из первых самолетов. Транспортники садились один за другим. На рулежках шла деловитая, без суеты, привычная работа. Разгружалась техника, вооружение, экипировались люди, все это строилось в колонны. Один транспортник сел вне плана. Из чрева транспортника важно выплыли два длинных-длинных, очень длинных правительственных ЗИЛа, вышли несколько человек,

¹⁰ http://militera.lib.ru/memo/russian/lebed_ai/18.html?fbclid=IwAR2pEW20QlaUIhLicdGNPyas616R80uU7KqSML9VHfvdDNwSHWKT152Jk (დამოწმება: 15.09.2019).

первым шел член Политбюро ЦК КПСС, министр иностранных дел СССР Э. А. Шеварднадзе. Их встретила достаточно многочисленная группа людей. После непродолжительного обмена Мнениями все резво расселись по машинам и растворились во мраке“...

აღსანიშნავია ერთი დეტალიც: ლებედი წერს, რომ საბჭოთა ჯარისკაცები, რომლებიც თავად ჩამოიყვანა თბილისში 9 აპრილის დასარბევად, ავღანეთში ნაბრძოლები იყვნენ, რომლებიც პირდაპირ ბრძოლის ველიდან განათავსეს განჯაში, ცუდ საცხოვრებელ პირობებში და ყოველგვარი სოციალური უზრუნველყოფის გარეშე; ამის შემდეგ ხვდებიან ისინი საქართველოს დედაქალაქში „этот полк, 15 февраля 1989 г. последним ушедший из Афганистана, 6 апреля 1989 г. получил задачу...“

1989 წლის 9 აპრილის მოვლენას ათასობით თვითმხილველი ჰყავდა. 9 აპრილის ღამეს სამი კამერა იღებდა (გ. ხაინდრავა, ი. როსტი, სუკის თანამშრომელი); არსებობს ბევრი სხვა დოკუმენტური მასალაც. საქართველო დამოუკიდებელია 30 წელია; შესაბამისად, შესაძლებელი იყო 9 აპრილის მოვლენის ცალსახა შეფასება. ამის მიუხედავად, 2019 წელს ჩატარებული კვლევა ნათლად აჩვენებს, რომ არა მხოლოდ „ვიკიპედიის“ ავტორებისათვის, არამედ თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობისთვისაც მეტწილ შემთხვევაში გაუგებარია, უცნობია 9 აპრილის არსი; იხ., მაგ., TV იმედის გამოკითხვა: „რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს?“¹¹.

„გაუგებრობის“ მიზეზი მარტივია: საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ, ისტორიოგრაფიისა თუ განათლების სისტემის მესვეურნი არ არიან დაინტერესებულნი 9 აპრილის რეალური არსის წარმოჩენით; მეტიც, ლოგიკურია დავუშვათ, რომ საქართველოში არსებული გარკვეული პოლიტიკური ძალები დაინტერესებული არიან, მიჩქმალონ რუსეთის იმპერიის აგრესია 1989 წლის 9 აპრილიდან დღემდე.


ვფიქრობ, დღემდე 9 აპრილის მოვლენის არაადეკვატური შეფასება არის „რუსული რბილი ძალის“ მოქმედების ერთი თვალსაჩინო შედეგი.

დამონშებული ლიტერატურა


ბელქანია 2016: ბელქანია თ., ინფორმაციით კულტურის კონსტრუირება სოციალისტურ რეალიზმში და უახლესი დრო (საქართველოს შსს არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით). სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2016. <https://art.edu.ge/acgeo/index.php?newsid=541>

ფუტკარაძე 2019: ფუტკარაძე ტ., ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები. თბილისი, 2019.


¹¹ რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს? – ...არ ვიცი, არ მაქვს პასუხი..“ (TV იმედი. 2019. აპრილი/ქუჩის გამოკითხვა) https://www.youtube.com/watch?v=cY_9gN0zVcM (დამონშება: 15.09.2019).




დოკ. №1




დოკ. №2



ლოკ. №3



ლოკ. №4



ლოკ. №5